ელისო ნოზაძე

სოპოტის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, პოლონეთი

11-15 მაისს, Erasmus+-ის ადმინისტრაციული მობილობის ფარგლებში, კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენელი სტუდენტთა მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტიდან, ელისო ნოზაძე, იმყოფებოდა სოპოტის გამოყენებითი მეცნიერებათა უნივერსიტეტში, პოლონეთი.

პროგრამის ფარგლებში მონაწილეს შესაძლებლობა ჰქონდა გაცნობოდა მასპინძელი უნივერსიტეტის სასწავლო და ადმინისტრაციულ გარემოს. გაიმართა შეხვედრა საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის წარმომადგენელთან, რომელმაც წარადგინა უნივერსიტეტის საქმიანობა, საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებები და მიმდინარე პროექტები. შეხვედრის ფარგლებში, კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენელმა გააცნო მასპინძელ მხარეს კავკასიის უნივერსიტეტის საქმიანობა, საერთაშორისო გამოცდილება და საკუთარი დეპარტამენტის ფუნქციები და ძირითადი მიმართულებები.

ვიზიტის ფარგლებში მონაწილე გაეცნო ქალაქის ისტორიას, კულტურულ მემკვიდრეობასა და ადგილობრივ ტრადიციებს.

ვიზიტის მიზანი იყო უნივერსიტეტებს შორის გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, პროფესიული კავშირების გაძლიერება და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება.